



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
წევრები:

ბ) ნანა გიორგობიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნათია დარსაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დ) ბექა კვაჭაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ე) მაია ქუთათელაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ზ) დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

კ) თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) ნინო ჯოჯიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ზაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225065247

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი საკრაულა
ფაქტობრივი მისამართი	ზაღდათი. სოფელი საკრაულა
საფოსტო ინდექსი	1007



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/ (სკოლის ვებ გვერდის ბმული)
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Sakraula@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577338042

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 24 0000600378 30/05/2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 24 და 25 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.



N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი საკრაულა შენობა-ნაგებობა 1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი საკრაულა შენობა-ნაგებობა 1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სოფელი საკრაულა შენობა-ნაგებობა 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 24 და 25 ივნისს, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენლებს- სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, სკოლის მასწავლებლებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები კათედრების წარმომადგენლებთან. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში, ესწრებოდა როგორც ქართულის, ისე მათემატიკის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ინტერვიუების პროცესს, სვამდა დამაზუსტებელ კითხვებს დაწყებითი საფეხურის სპეციფიკიდან გამომდინარე. ვიზიტის შემდეგ დაწყებითი საფეხურის ექსპერტი მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.



VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს

(ასეთი

სარსებობის შემთხვევაში).

სკოლა მცირეკონტიგენტია, ვიზიტის პერიოდში სწავლობდა 17 მოსწავლე, შესაბამისად სკოლას გამორჩეული პრაქტიკა აქვს ინდივიდუალური მუშაობის მიმართულებით.



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა დაღირებულებები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ <u>ნაწილობრივ შეესაბამება</u> ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ <u>მეტწილად შეესაბამება</u> ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ <u>ნაწილობრივ შეესაბამება</u> ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ <u>ნაწილობრივ შეესაბამება</u> ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ <u>შეესაბამება</u> ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთაზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება



		აღწერა
მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ❖ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- ❖ საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა
- ❖ საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორესტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი
---------------------	--------------------	---------



V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედკანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (15/09/2025) დაასაქმოს მასწავლებლები, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (25/09/2024) დაარქივებული საკლასო ჟურნალები განათავსოს დაცულ ადგილას, რათა შეიზღუდოს გარეშე პირთაგან მათი ხელმისაწვდომობა და პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ალბათობა.
3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (25/12/2024) სინათლის წყაროს შეზღუდვის გარეშე უზრუნველყოს პრივატულობა ეზოში განთავსებულ დამატებით სველ წერტილებში , რათა პიროვნების ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას არ შეექმნას საფრთხე.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების	❖ სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (12/03/2025) განახორციელოს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი დონის ძიებები. ❖ სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (12/03/2025) შეიმუშაოს და შესაბამის უწყებასთან შეთანხმების



	დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	შემდგომ დაამტკიცოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ❖ სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (05/03/2025) მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური. ❖ სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (02.09.2026) უზრუნველყოს შიდა და გარე პერიმეტრის გაკონტროლება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მიერ. გაითვალისწინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ: ❖ სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (02.09.2026) უზრუნველყოს სკოლის ეზო დაცვა სასწავლო პროცესში უცხო პირთა გადაადგილებისგან.
3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისები მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (02/09/2025) წიგნები დაამუშაოს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში დაიწყოს წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობა, შეიქმნას ელექტრონული ან ბეჭდური კატალოგი.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	❖ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (25/12/2024) სკოლამ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული შიდა ცვლილებების შესაბამისად განაახლოს შიდა აზომვითი ნახაზი .
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	❖ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (03/20/2026) სკოლა გახდეს ადაპტირებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე;



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი <i>N....</i>		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო დ საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი <i>N....</i> 2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგენილ ვადებში 01.04,2024-01.04,2025 პერიოდში მოახდინოს საბუნებისმეტყველო ლაბორატარიის მოწყობა და სათანადო რესურსებით აღჭურვა. ასევე ასახოს შესაბამისი რესურსების გამოყენება საგნობრივ კურიკულუმებში.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი <i>N</i> 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	<u>კომპიუტერული ტექნოლოგიები</u> <u>სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგენილ ვადებში (15/09/2025) უზრუნველყოს კანონმდებლობის და სკოლის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების დასაქმება.</u>



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი <i>N</i> 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	<u>მათემატიკა</u> <u>სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგენილ ვადებში (15/09/2025) უზრუნველყოს კანონმდებლობის და სკოლის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების დასაქმება.</u>
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი <i>N</i> 2.2.2.4	სკოლას ჰყავს საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს	<u>მათემატიკა</u> <u>სკოლამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგენილ ვადებში (15/09/2025) უზრუნველყოს კანონმდებლობის და სკოლის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებლების დასაქმება.</u>



VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი <i>N....</i>		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სასურველია სკოლამ პოლიტიკის მართვის დოკუმენტში დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები. კერძოდ, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით.
3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	3 მასწავლებელთან, რომლებთანაც ხელშეკრულების საგანში არ ჩანდა მინიჭებული სტატუსი, შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს სტატუსების შესაბამისად.



3.4.1.1

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სასურველია სკოლამ გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.



3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ მიიღო რჩევა, სამედიცინო ჩარევების დროს გაითვალისწინოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ. -ით გათვალისწინებული მოთხოვნები და სამედიცინო ჩარევა განახორციელოს მხოლოდ ექთნის კომპეტენციის ფარგლებში.
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	სასურველია სკოლას ჰყავდეს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად .
3.4.1.7	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები	სასურველია სკოლამ არქივისთვის გამოჰყოს ცალკე ოთახი/დაცული სივრცე, სადაც შეინახავს დაარქივებულ მასალებს, მაგალითად საკლასო ჟურნალებს და სხვ.
3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;	სურველია სკოლამ მეტად გაამრავალფეროვნოს ციფრული რესურსები, გაზარდოს ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, რათა სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა.
3.6.2.3	სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში	იმის გათვალისწინებით , რომ საინფორმაციო სისტემა Eschool-ში , <u>სკოლის ბარათი იყო არასრულად შევსებული და ამავდროულად საჭიროებდა განახლებას</u> , სკოლას მიეცა რჩევა ბაზის მუდმივად განახლებასთან დაკავშირებით.



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	❖ საგან “მე და საზოგადოების“ ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშში უკეთ გამოიკვეთოს მნიშვნელოვანი კომპონენტი ძირითადი კონტექსტ-მაგალითი. ❖ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შევსებული იქნას სრულყოფილად, თითოეული თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების დამუშავების პრინციპების გათვალისწინებით. ❖ უცხო ენა-მთლიანობაში კურიკულუმი წარმოადგენს გამართულ დოკუმენტს და წარმოდგენილია ყველა კომპონენტი, თუმცა საჭიროებს უფრო მეტად ორგანიზებულ სტრუქტურირებას. წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები და მატრიცები სადაც საჭიროა თანხვედრაში იყოს სამიზნე ცნებები ერთმანეთთან. კურიკულუმის ჩარჩოებში სწორადაა მოცემული. ასევე კურიკულუმის ჩარჩოებში სამიზნე ცნებების ქვეცნებები არ ჩანს ზოგიერთ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით. ეს პროცესი იკითხება მატრიცებში მაგრამ ტერმინოლოგიურად ზუსტი.



ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნების ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშში რესურსების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ სახელმძღვანელო, კარგი იქნებოდა რესურსების მეტად გამრავალფეროვნება.
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	ინგლისური ენის კურიკულუმში უმჯობესია უფრო თვალსაჩინო იყოს აქტივობები რომლებიც დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომით სწავლებისთვის გამოიყენება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მიდგომების ცოდნა თუმცა დოკუმენტურად ამ მიმართულებით მეტი სიცხადეა საჭირო.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	❖ საგან „მე და საზოგადოება“ მნიშვნელოვანია, რომ შეფასების რუბრიკის დოკუმენტებში, მეტად იყოს ასახული, სამიზნე ცნების ინდიკატორები. ❖ ბუნებისმეტყველების კურიკულუმში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უფრო მეტად დაკონკრეტდეს და დაუკავშირონ შესაბამის შესასწავლ საკითხს.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საგან “ჩვენი საქართველოს“ ფარგლებში შექმნილ კურიკულუმებში რესურსების გრაფაში წარმოდგენილია ზოგადი ხასიათის ინფორმაცია (მაგ. ვიდეო რესურსი;) უმჯობესი იქნებოდა მეტად დაკონკრეტება, კონკრეტული ვიდეო რესურსის დასახელება ან ლინკი.



ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სკოლას 2023-2023 წლის სტრატეგიულ განვითარების გეგმაში განსაზღვრული აქვს ამოცანები: კურიკულუმის შექმნა, სკოლო კურიკულუმის შედგენა, განახლების და მისი განხორციელების მონიტორინგი; გამოკითხვა კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით; აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია “სასკოლოკურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები” კარგი იქნება თუ სკოლა ერთ დოკუმენტად დაორგანიზებს და დეტალურად გაწერს თითოეულ ეტაპს, პროცესებს პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს, განხორციელების ვადებს .გამოყენებული ინსტრუმენტებს...
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	❖ ქიმიის მეცხრე კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი არ იყო სტანდარტის შესაბამისად (გიწერიათ - არაორგანული ნივთიერებები, უნდა გეწეროდეს - ნივთიერებათა მრავალფეროვნება); ასევე სავალდებულო თემაში - ნივთიერებათა მრავალფეროვნება არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ❖ ბიოლოგია მეშვიდე კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში სავალდებულო თემების სახელწოდებები გაწერილი არ იყო სტანდარტის შესაბამისად (მეშვიდე კლასში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ხუთი სავალდებულო სასწავლო თემა, ჩარჩოში კი მითითებული იყო ექვსი თემა),



სამიზნე ცნებებიც განსაზღვრული არ იყო სწორად. თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება უნდა მუშავდებოდა. (იხელმძღვანელონ საგნობრივისტანდარტით) .

- ❖ უცხო ენა-მთლიანობაში კურიკულუმი წარმოადგენს გამართულ დოკუმენტს და წარმოდგენილია ყველა კომპონენტი, თუმცა საჭიროებს უფრო მეტად ორგანიზებულ სტრუქტურირებას. წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები და მატრიცები სადაც საჭიროა თანხვედრაში იყოს სამიზნე ცნებები ერთმანეთთან. კურიკულუმის ჩარჩოებში სწორადაა მოცემული. ასევე კურიკულუმის ჩარჩოებში სამიზნე ცნებების ქვეცნებები არ ჩანს ზოგიერთ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით. ეს პროცესი იკითხება მატრიცებში მაგრამ ტერმინოლოგიურად ზუსტი არ არის.
- ❖ საგან ისტორიის (VII; IX), მოქალაქეობის (VII; VIII) გეოგრაფიის (VIII) ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში, უკეთ გამოიკვეთოს მნიშვნელოვანი კომპონენტი ძირითადი კონტექსტ- მაგალითი.



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	საგან მოქალაქეობის ფარგლებში წარმოდგენილ კურიკულუმის ნიმუშებში სასურველი იქნებოდა შემოქმედებითი პროდუქტების მეტად გამრავალფეროვნება.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;	საგან ისტორიისა (VII; VIII) და მოქალაქეობის (VII; VIII) ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში რესურსების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ სახელმძღვანელო, კარგი იქნებოდა რესურსების მეტად გამრავალფეროვნება, ასევე მითითებული რესურსის მეტად დაკონკრეტება (მაგ. სახელმძღვანელოს კონკრეტული საკითხების მითითება
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	უცხო ენა-უმჯობესია უფრო თვალსაჩინოს იყოს აქტივობები რომლებიც დიფერენცირებული მიდგომით სწავლებისთვის გამოიყენება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მიდგომების ცოდნა თუმცა დოკუმენტურად ამ მიმართულებით მეტი სიცხადეა საჭირო.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	რჩევა - საზოგადოებრივი მეცნიერების საგნების კურიკულუმის შეფასების რუბრიკის დოკუმენტებში, მნიშვნელოვანია მეტად იყოს ასახული, სამიზნე ცნების ინდიკატორები. განმსაზღვრელ რუბრიკაში სამიზნე ცნების ინდიკატორები უნდა გარდაიქმნას კრიტერიუმებად.
ინდიკატორი 2.2.2.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;	საგან ისტორიისა (VII; VIII) და მოქალაქეობის (VII; VIII) ფარგლებში შექმნილ კურიკულუმებში რესურსების გრაფაში წარმოდგენილია ზოგადი ხასიათის ინფორმაცია (მაგ. ვიდეო რესურსი;) უმჯობესი იქნებოდა მეტად დაკონკრეტება, კონკრეტული ვიდეო რესურსის დასახელება ან ლინკი.



ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სკოლას 2023-2023 წლის სტრატეგიულ განვითარების გეგმაში განსაზღვრული აქვს ამოცანები: კურიკულუმის შექმნა, სკოლო კურიკულუმის შედგენა, განახლების და მისი განხორციელების მონიტორინგი; გამოკითხვა კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით; აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია “სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები” კარგი იქნება თუ სკოლა ერთ დოკუმენტად დაორგანიზებს და დეტალურად გაწერს თითოეულ ეტაპს, პროცესებს პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს, განხორციელების ვადებს, გამოყენებულ ინსტრუმენტებს.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	❖ ფიზიკის X კლასის კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილში სავალდებულო სასწავლო თემების სახელწოდებები გაწერილი არ იყო სტანდარტის შესაბამისად (გიწერიათ - დამუხტული სხეულების ურთიერთქმედება, უნდა გეწეროთ - ელექტროსტატიკა; გიწერიათ- ელექტრული ველი, უნდა გეწეროთ -მუდმივი დენის კანონები); ასევე გასასწორებელია ფიზიკა XI კლასიც; (სავალდებულო თემები განსაზღვრულია საგნობრივი სტანდარტებით). თემის ფარგლებში ყველა სამიზნე ცნება უნდა მუშავდებოდეს. ❖ უცხო ენის კურიკულუმი მთლიანობაში წარმოადგენს გამართულ დოკუმენტს და წარმოდგენილია ყველა კომპონენტი, თუმცადა საჭიროებს უფრო მეტად ორგანიზებულ სტრუქტურირებას. წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები და მატრიცები სადაც



		საჭიროა თანხვედრაში იყოს სამიზნე ცნებები ერთმანეთთან. კურიკულუმის ჩარჩოებში სწორადაა მოცემული. ასევე კურიკულუმის ჩარჩოებში სამიზნე ცნებების ქვეცნებები არ ჩანს ზოგიერთ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით. ეს პროცესი იკითხება მატრიცებში მაგრამ ტერმინოლოგიურად ზუსტი არ არის. ❖ საგან ისტორიისა და საქართველოს ისტორიის (X), ასევე გეოგრაფიის (X) ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში, უკეთ გამოიკვეთოს მნიშვნელოვანი [N1] კომპონენტი ძირითადი კონტექსტ-მაგალითი.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 2.1.1.1 მიღწევას;	საგან ისტორიისა (X; XI; XII) და გეოგრაფიის (X;) ფარგლებში შექმნილ კურიკულუმის ნიმუშებში რესურსების გრაფაში წარმოდგენილია მხოლოდ სახელმძღვანელო, კარგი იქნებოდა რესურსების მეტად გამრავალფეროვნება, ასევე მითითებული რესურსის მეტად დაკონკრეტება (მაგ. სახელმძღვანელოს კონკრეტული საკითხების მითითება)
ინდიკატორი 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	უცხო ენის კურიკულუმში უმჯობესია უფრო თვალსაჩინოს იყოს აქტივობები რომლებიც დიფერენცირებული მიდგომით სწავლებისთვის გამოიყენება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მიდგომების ცოდნა თუმცა დოკუმენტურად ამ მიმართულებით მეტი სიცხადეა საჭირო.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივ კურიკულუმში შეფასების რუბრიკის დოკუმენტებში, მნიშვნელოვანია, რომ, მეტად იყოს ასახული, სამიზნე ცნების ინდიკატორები. განმსაზღვრელ რუბრიკაში სამიზნე ცნების ინდიკატორები უნდა გარდაიქმნას კრიტერიუმებად.



ინდიკატორი 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;	სკოლას 2023-2023 წლის სტრატეგიულ განვითარების გეგმაში განსაზღვრული აქვს ამოცანები: კურიკულუმის შექმნა, სკოლო კურიკულუმის შედგენა, განახლების და მისი განხორციელების მონიტორინგი; გამოკითხვა კურიკულუმის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით; აგრეთვე სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია “სასკოლო კურიკულუმის/წლიური პროგრამის აგების პრინციპები” კარგი იქნება თუ სკოლა ერთ დოკუმენტად დაორგანიზებს და დეტალურად გაწერს თითოეულ ეტაპს, პროცესებს პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს, განხორციელების ვადებს .გამოყენებული ინსტრუმენტებს...
----------------------------------	---	--

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას.

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დასკვნის პროექტის პასუხი, შესაბამისობის გეგმით გაწერილი და დანართების სახით წარმოდგენილი მტკიცებულებები. სრულად გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისად დასკვნის პროექტში დახარვეზებული ინდიკატორი 2.2.2.4; 3.4.1.1; 3.1.2.4; 3.4.1.6; 3.4.1.4; 3.5.1.1; 3.5.1.3 შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ხოლო ინდიკატორი 3.4.1.1; 3.5.1.4 დასკვნაში შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

სტანდარტი 2, რომელიც პროექტში შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, დასკვნაში შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.
ხოლო სტანდარტი 3, რომელიც პროექტში შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, დასკვნაში შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო დაპიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიდგომებთან. სკოლის მისიაა: დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს მას თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა. შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტის მქონე განათლების მისაღებად, საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი თვისებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად და გასავითარებლად. ასევე, დაეხმაროს მას მომავალი განვითარების გზის არჩევაში (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში). სკოლის მიზანია აღზარდოს პატრიოტი, წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული, თავდაჯერებული და შემოქმედი პიროვნება, რომელიც მზად იქნება ეროვნული ფასეულობების დასაცავად; სკოლის მისია და ხედვა თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია, კარგად შეისწავლოს საკუთარი, სასკოლო თემისა და ზოგადად საზოგადოების პრიორიტეტები, ღირებულებები და გამოწვევები, რასაც ასახავს მისიაში. ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია სასკოლო საზოგადოებრივი პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შექმნის პროცესში სკოლა რთავს საკუთარ საზოგადოებას, რაც აძლიერებს მიკუთვნებულობის განცდას. სასკოლო პროექტებითა თუ არაფორმალური განათლების სხვადასხვა აქტივობებით სკოლა წარმოადგენს სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო (რაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოებასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით), რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რისთვისაც სკოლაში შეიქმნა და დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი. დადგინდა სკოლის ძლიერი მხარეები, განისაზღვრა კონკრეტული და მკაფიო პრიორიტეტები. ჯგუფის მიერ სკოლის პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავებული და წარმოდგენილი იქნა სკოლის ახალი მისია, ხედვისა და ღირებულებების ჩარჩო. წარმოდგენილი ჩარჩო გაზიარებულ იქნა სასკოლო საზოგადოებასთან. მოხდება აღნიშნული პროექტის ყველა საგნობრივ კათედრაზე და სამეურვეო საბჭოზე განხილვა. პროექტის რევიზია და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა /დამტკიცება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების პროექტი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დასტურდება, რომ პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო სასკოლო საზოგადოებასი ჩატარებული კვლევა და შედეგების ანალიზი. სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოყენებულია ელექტრონული საკომუნიკაციო არხები; სკოლის ვებ/გვერდი, სოციალური ქსელები. გარდა ამისა, სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების ბეჭდური მასალები გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების საჯაროობას უზრუნველყოფს სკოლა, აღნიშნული ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც მტკიცდება სასწავლო წლის დასაწყისში. სასკოლო სასწავლო გეგმა თავის მხრივ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირათათვის. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რომელიც შექმნილია მართვის საინფორმაციო სისტემის დახმარებითა და მხარდაჭერით, ასევე გამოკრულია სკოლის შენობის მეორე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლას განსაზღვრული აქვს სახელწოდება - „სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა“. სკოლა სახელი ეწოდა “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში 2011 წლის 19.08 N 136/ ნ ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შედეგად. სახელწოდება სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
2. სტრატეგიული განვითარების გეგმა;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
4. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
5. პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
6. მინისტრის ბრძანება „სკოლის სახელწოდება“;
7. სკოლის ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. სკოლის დირექტორის მ.შ. 2024 წლის 15 მარტის N2/08 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, რომელიც მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 4 სექტემბრის №3 ოქმით და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის №6 ოქმით. სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს. განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა დამოუკიდებელი მისაღწევს გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განხილვა/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სკოლის განვითარების სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობას, განხილვას და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის საფუძველზე ხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავდა მიზნად. სკოლის სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. მასში გაწერილია სტრატეგიული გეგმის მსგავსად მიმართულებები, ხოლო მიმართულებებში კი ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. სამოქმედო გეგმაში ვხვდებით ისეთ პუნქტებს, რომელიც დაფუძნებულია თვითშეფასებაზე. სკოლის დირექციასთან და კათედრის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებით ჩანდა, მათი თვითშეფასების პროცესში აღმოჩენილ გამოწვევებზე დაფიქრება, რომელზეც სკოლა გამოხატავს მზაობას გააუმჯობესოს/განავითაროს სხვადასხვა მიმართულებები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები შესაბამისია სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული გეგმის მიზნებთან, ხოლო მიზნების მისაღწევად გაწერილი ამოცანები შესაბამისი აქტივობებით რეალისტურია. სკოლის სამოქმედო გეგმაში აქტივობების პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია, როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ასევე სკოლის მართვაში ჩართული პირები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



1. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ;
2. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
4. დირექტორის ბრძანება სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფის დამტკიცების შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; სკოლაში მოქმედებს მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემა. ყველა რგოლმა თუ სტრუქტურულმა ერთეულმა ზუსტად იცის, თუ ვისთან და რა პერიოდულობითაა ანგარიშვალდებული. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობას ხელმძღვანელობს დირექტორის მ.შ. ასევე სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა შემადგენლობას განისაზღვრება პედსაბჭოზე. სასწავლო წლის ბოლოს კი აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენს ანგარიშებს. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების კრიტერიუმები შემუშავდება სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის თავი 12. რომლის თანახმადაც მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ყოველი წლის ბოლოს სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ასევე წარმოადგენენ შესაბამის მტკიცებულებებს. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში; მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით



გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. მეთოდოლოგიაში მითითებულია სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინდიკატორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);
3. ინდიკატორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);
4. ინდიკატორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედსაბჭოს ოქმი;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი N3;
3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
4. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგები;

შეფასება:

- ☐ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ☐ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების სამტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მ.შ - ს მიერ დამტკიცებული სამტატო ნუსხით. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია სკოლის დირექტორის მ.შ. ბრძანებით „სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“, რაც უზრუნველყოფს სკოლაში ხარისხიანი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისთვის და ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე, უსაფრთხო, ინკლუზიური, წამახალისებელი, თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე. სკოლაში დასაქმებულია სკოლის დირექცია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და ბუღალტერი, ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი. არასამტატო ერთეულები - 1 დამლაგებელი, 2 დარაჯი, ექთანი. სტრუქტურული ერთეულები - სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა; ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებულია (2024 წლის 07 თებერვლის №1-04 ბრძანება) სამტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია თანამდებობები/პოზიციები და რაოდენობა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თუ რა ეკრძალებათ დასაქმებულებს და რისი უფლება აქვთ მათ სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის თანამშრომლებს შესასრულებელი ფუნქციების შესახებ ეცნობებათ ხელშეკრულების გაფორმებამდე და მხარეთა შეთანხმების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.



სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება- მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის სტრუქტურა;
2. ექთნის ხელშეკრულება;
3. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
4. საშტატო განრიგი;
5. შრომითი ხელშეკრულება;
6. დირექტორის დანიშვნის ბრძანება;
7. პერსონალის მართვის პოლიტიკა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია შრომის შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტში ვიზიტის პერიოდში შევიდა ცვლილება და მოვიდა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების თანამდებობრივი პოზიციები და უფლება-მოვალეობები, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. თანამდებობრივი ინსტრუქციები განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება-მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აღნიშნული დოკუმენტი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს სკოლასა და

დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

სკოლაში შემუშავებულია სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია . ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავების მიზანია სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით ან/და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები, კერძოდ არ არის დარეგულირებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში, როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალებს სკოლაში მიმდინარე პროცესები. მაგალითად, რა პრინციპით მოხდება მასწავლებლის გაცდენის ან/და საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლა კოლეგებით ან შემცვლელი მასწავლებლის დაქირავებით. სკოლას მიეცა რჩევა დაარეგულიროს პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმით. სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო რეგულაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზეც პერსონალი შეირჩევა გამჭვირვალედ. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არსებითად წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სკოლას საკადრო მიმართულებებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ ამოცანებს.

სკოლაში ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება-სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და საჭიროებისამებრ დაგეგმილი ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების მიხედვით. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით, დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზითა და პოზიტიური გარემოს შექმნით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. საბუთების შერჩევა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან, როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის, ბაღდათის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი და მოწვეული დამოუკიდებელი სპეციალისტი.

ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. ექსპერტების მიერ დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა, პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭვირვალებასა და ობიექტურობაზე, აღნიშნული წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა თანამშრომელთა პირადი საქმეები, პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; სკოლაში მომუშავე ყველა პირის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში სკოლა ასაქმებს პირს კვალიფიკაციის მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სკოლაში მასწავლებლების მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. სკოლაში დასაქმებული ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი დასაქმებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციის შესაბამისად, კონკურსის წესით, საკონკურსო კომისიის მიერ შერჩევის შედეგად. სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული სამტატო ერთეულის მიხედვით. სკოლას ჰყავს 2 წამყვანი, 11 უფროსი მასწავლებელი, 1 უსტატუსო და 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი. 3 მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არ იყო გაფორმებული, რაზეც სკოლამ მიიღო რჩევა. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში



ექსპერტები გაეცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები ძირითადად აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. გამონაკლისს წარმოადგენდა სკოლის 2 დაწყებითი საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიდნენ საბაზო/საშუალო საფეხურზე, ასევე დაწყებითი საფეხურის პედაგოგი ასწავლიდა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შესაბამისად პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

სკოლამ დაკვნის პროექტის პასუხად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელში გაწერილ ვადებშიც (15/09/2025) დაასაქმებს მასწავლებლებს, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად, გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს. სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას აქვს სოციალური ქსელი სადაც ქვეყნდება ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები. შინაგანაწესის მიხედვით სკოლას დადგენილი აქვს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მაღლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. ბრძანება ვაკანტურ პოზიციაზე მასწავლებლის შერჩევის განაცხადის მიღების ვადების და პირობების განსაზღვრის შესახებ;
3. საკონკურსო კომისიის ოქმები;
4. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს



შორის გაფორმებული მემორანდუმი;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრავლის საჯარო სკოლა პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით. ეს არის საგაკვეთილო დაკვირვება, მასწავლებლების თვითშეფასება. დაწესებულებას გაწერილი აქვს სკოლის პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება სკოლაში ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის საქმიანობა, რომელიც მასწავლებელთა საჭიროებების დადგენასა და განვითარების მხარდაჭერ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გაკვეთილზე დასწრება და შედეგების ანალიზის მიზნით სამუშაო შეხვედრების ჩატარება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.



2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სკოლა გამოვლილი საჭიროებებს ასახავს სამოქმედო გეგმაში, რომლის საფუძველზე ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ მასწავლებელი ვალდებულია ყოველ სასწავლო წელს გაიაროს მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული სავალდებულო ტრენინგები. სკოლის ბაზაზე მასწავლებლების თანამშრომლობითი კულტურა მაღალია. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, ხდება აზრთა გაზიარება. მოქმედებს კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. სკოლაში ტარდება მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრები, ურთიერთდასწრებები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლას აქვს მასწავლებლის კარიერის ახალ საფეხურზე გადასვლის მხარდაჭერის გამოცდილება. სკოლის მიერ წარმოდგენილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. ექსპერტთა მოსაზრებით დასტურდება სკოლის მზაობა ხელშეწყობილი იქნას სკოლის ბაზაზე პერსონალის კარიერული ზრდა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა ხელს უწყობს თანამშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია სისტემაში მიმდინარე და განხორციელებული სიახლეების შესახებ.

სკოლაში თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის მ.შ. და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ კათედრის წევრები ქმნიან თანამშრომლობით და კოლეგიალურ საზოგადოებას, რაც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ადაპტაციასა და ინტეგრაციას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში თანამშრომელთა ინიციატივები წახალისებულია. დირექტორი აღნიშნავს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, რაც გამოიხატება



დირექციის სრული გახსნილობით ახალი იდეების, ინიციატივების მიმართ. გარდა პედაგოგებისა მხარდაჭერილია სკოლის სხვა პერსონალიც, მაგალითად მიმდინარე წელს სკოლის ბუღალტერს დაუფინანსდა პროფესიული ზრდის შესაძლებლობა ახალი საბუღალტრო აღრიცხვიანობის შესწავლის მიზნით. სკოლა ცდილობს შექმნას პერსონალისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების ოქმები;
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
3. მათვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის მასწავლებელთა ბაზა;
4. <https://www.facebook.com/sakraulis.sajaroskola>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერგაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;



2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. დოკუმენტის მიზანია სკოლის მისიის განხორციელება და ემსახურება სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი ამოცანების შესრულებას, სწავლების ხარისხის მონიტორინგს და მის მუდმივი სრულყოფას, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენების და მათი განვითარების ხელშეწყობას. დოკუმენტი არეგულირებს ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ასევე დამხმარე პროცესები. მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტითა და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დასტურდება, რომ სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების/განხილვის სისტემა.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომის შინაგანაწესი არეგულირებს საჩივრის განხილვის წესს. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილია მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის პერსონალის და მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის, კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცებული აქვს მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, სადაც დეტალურად არის მითითებული მშობელთა უფლებები, მათთან კომუნიკაციისა და ინფორმირების წესი. ექსპერტების მიერ ადგილზე ნანახი იქნა მშობლებსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
2. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
3. დასაქმებულთა პირადი საქმეები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების დამასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

წარმოდგენილი მტკიცებულებებით, სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, facebook-ს, მესენჯერს, TEAMS-ს, სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდს, რათა მშობლებსა და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე მოვლენებზე. მშობლებს შეუძლიათ თავიანთი აზრის დაფიქსირება ყველა საშუალებით. სკოლას გააჩნია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები. შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, მშობლებთან ურთიერთობის კომუნიკაციის (სტრატეგიის) დებულება. სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების, მშობელთა კრებების მეშვეობით. სკოლას მიეცა რჩევა, დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სკოლის ოფიციალური გვერდების - ვებ-გვერდის, სოციალური გვერდების ფუნქციურ გამართულობაზე პასუხისმგებელი პირი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიულ ორგანოებში ჩართულობა. სკოლის კოლეგიულ ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. უცხო ენის არჩევის ოქმები;
2. არჩევითი საგნების ოქმები;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
4. სკოლის სოციალური ქსელი;
5. სკოლის ვებ გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის

მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას არ ჰყავს მანდატურის სამსახური. სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი და სკოლის დარაჯები. ვიზიტის პერიოდში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამავდროულად სპორტის არასერტიფიცირებული მასწავლებელია, პირადი განცხადების საფუძველზე იმყოფებოდა შევსებულბაში, შესაბამისად მასთან დამაზუსტებელი ინტერვიუ ვერ განხორციელდა.

სკოლა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალითვალო სისტემით. უზრუნველყოფილია 8 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერით, სართულების მიხედვით განსაზღვრულია მორიგე მასწავლებლები, რომლებიც აკონტროლებენ წესრიგის დაცვას და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. სართულებზე გადასადგილებელი კიბის უჯრედი არ კონტროლდება ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მიერ. დარღვეულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ: შიდა და გარე პერიმეტრი სრულად არ კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით.

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა საგანგებო სიტუაციების მართვის ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც საჭიროებს განახლებას. სახანძრო ინვენტარის ნაწილი არ არის განლაგებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით (სახანძრო სტენდი, ცეცხლმაქრები). შენობაში მოწყობილია „საევაკუაციო გზის“ მიმართულებებისა და გასასვლელების მანიშნებელი მანათობელი ნიშნები. სკოლის მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულია 12/03/2025 პერიოდამდე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება.

სკოლის ტერიტორია არის შემოღობილი, თუმცა გარკვეულ მონაკვეთებზე ღობის მთლიანობა დარღვეულია. სკოლის შემოღობილ ტერიტორიას აქვს დამატებით შემოსასვლელი კარებები, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს გარეშე პირმა. სასწავლო პროცესში არ არის ჩაკეტილი სკოლის ტერიტორიაზე შემოსასვლელი დამატებითი კარები, ამავდროულად აღნიშნული სივრცე არ კონტროლდება სამეთვალყურეო კამერით. შესაბამისად სკოლის ეზო არ არის დაცული სასწავლო პროცესში უცხო პირთა გადაადგილებისაგან. სკოლას გადაგზავნილი აქვს წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში დასკვნაში მითითებული პრობლემების მოგვარების მიზნით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებს“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე სკოლას შექმნილი ჰყავს მრჩეველთა საბჭო. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას მიეცა რჩევა - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან



გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. სკოლას არ აქვს შემუშავებული , უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული პრობლემის მოგვარება სკოლას გაწერილი აქვს შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში 12/03/2025-პერიოდამდე. ამავდროულად სკოლამ წარმოადგინა 17/06/2024 გაგზავნილი წერილი MES 0 24 0000674543 სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს თავმჯდომარესთან, სადაც ითხოვს დახმარებას საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში. ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური. სკოლამ წარმოადგინა მოთხოვნა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მისაღებად, აღნიშნული საკითხის მოგვარება სკოლას (05/03/2025-მდე) გაწერილი აქვს შესაბამისობის ერთწლიან გეგმაში.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად (02.09.2026) პერიოდში უზრუნველყოფს შიდა და გარე პერიმეტრის გაკონტროლებას ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის მიერ. გაითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის ბრძანება N06/ნ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ. ასევე (02.09.2026) პერიოდში უზრუნველყოფს სკოლის ეზოს დაცვას სასწავლო პროცესში უცხო პირთა გადაადგილებისგან.

ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით დასაქმებულია ექთანი. სკოლის პირველ სართულზე მოწყობილია ექთნის კაბინეტი, არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. სკოლამ ვერ წარმოადგინა პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები/სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელშიც იქნება განსაზღვრული პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები. იმის გათვალისწინებით რომ სკოლაში დასაქმებულია ექთანი , სკოლამ მიიღო რჩევა, სამედიცინო ჩარევების დროს გაითვალისწინოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ. -ით გათვალისწინებული მოთხოვნები და სამედიცინო ჩარევა განახორციელოს მხოლოდ ექთნის კომპეტენციის ფარგლებში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის შევსებულბაში გასვლისა და შემცვლელის დროებითი დანიშვნის შესახებ ბრძანება N 2/13. სკოლაში დამტკიცებულია დოკუმენტი - უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სკოლის უსაფრთხოების დაცვის სახელმძღვანელოს. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემულია რა მიზნების შესრულებას ემსახურება და რა ფორმებით ხდება სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მათ შორის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებენ მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას სკოლაში აკრძალული ნივთის აღმოჩენის მიზნით. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ნივთები, რომლით სკოლაში გამოცხადება ან გამოყენება აკრძალულია. საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში ვიზიტის პერიოდში სწავლობდა 17 მოსწავლე. სკოლაში შექმნილია მეგობრული და უსაფრთხო გარემო. სკოლას ეზოში დამატებით აქვს სველი წერტილები ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის. სველ წერტილებში სინათლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ფანჯრები, დაუბურავი მინებით, რომელთა სიმაღლეც მიწის ზედაპირიდან იმდენად ახლოსაა, რომ გამოყენების შემთხვევაში არ იძლევა პრივატულობის საშუალებას და საფრთხეს უქმნის პიროვნების ფსიქო ემოციურ უსაფრთხოებას.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად (25/12/2024) ვადაში სინათლის წყაროს შეზღუდვის გარეშე უზრუნველყოფს პრივატულობას ეზოში განთავსებულ დამატებით სველ წერტილებში, რათა პიროვნების ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას არ შეექმნას საფრთხე. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლაში დასაქმებული არიან დამლაგებლები, რომელთა ფუნქციებში გაწერილია დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სკოლაში სოციალურად დაუცველთა ქვეპროგრამის ფარგლებში დამატებით დასაქმებულია დამლაგებელი და მეეზოვე, რომლებიც ზრუნავენ სკოლაში სისუფთავის დაცვაზე. განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ვიზუალური დათვალიერებით სკოლაში დაცულია სისუფთავე, როგორც კლასებში, ისე სველ წერტილებში. სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე ვაჟებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და

პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სასკოლო საზოგადოების პერსონალური მონაცემების მიზნობრივი გამოყენებისთვის სკოლას აქვს წერილობითი თანხმობები. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პერსონალური მონაცემების დაცვაზე. სკოლას არ ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი, რომლის დანიშვნაც „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სავალდებულო იყო 2024 წლის 1 ივნისამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მიიღო რჩევა.

ვიზუალური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც დაცულია და ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა დაარქივებული საკლასო ჟურნალები ინახება ბიბლიოთეკაში ერთ-ერთ თაროზე, რაც არ ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას და პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ალბათობას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება.

სკოლამ დასკვნის პროექტის პასუხად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად (25/09/2024) პერიოდამდე დაარქივებულ საკლასო ჟურნალებს განათავსებს დაცულ ადგილას, რათა შეიზღუდოს გარეშე პირთაგან მათი ხელმისაწვდომობა და პერსონალური მონაცემების გამჟღავნების ალბათობა. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება. არქივისთვის არ არის ცალკე გამოყოფილი ოთახი/დაცული სივრცე, მასალები, მაგალითად დაარქივებული საკლასო ჟურნალები განთავსებულია ბიბლიოთეკაში თაროებზე, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა რჩევა.

სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების

შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.
ინდიკტორი ვერ ფასდება (სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას);

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი;
2. ბრძანება უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ;
3. მოსწავლის უკონტაქტო, ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება;
4. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;
5. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
6. მასწავლებელთა თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნებისმისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსსმინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსიხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციალ-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა არის ორსართულიანი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №30.16.33.182. ხოლო დაზუსტებული ფართობი 3443,00 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: შენობა-ნაგებობა №1, №2 და №3. საჯარო რეესტრიდან ამონაწერში სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე, ხოლო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო. სკოლის ინფრასტრუქტურაში განხორციელებული შიდა ცვლილებების გათვალისწინებით სკოლის აზომვითი ნახაზი საჭიროებს გაახლებას.

სკოლის შენობის სართულებზე განთავსებულია 11 საკლასო ოთახი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის მერხებით (მერხების უმეტესობა ორადგილიანია, საჭიროებს გაახლებას), სკამებით, კარადით და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, რომელშიც განთავსებულია 2 კომპიუტერი. კომპიუტერული ლაბორატორია უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. სკოლა აღჭურვილია ინტერნეტ ქსელით, თუმცა ხშირად ინტერნეტი ხარვეზით მიეწოდება სკოლას. საკლასო ოთახებში არის სასწავლო საგნების თვალსაჩინოებები, სკოლას აქვს სპორტული მცირე დარბაზი 64 კვ.მ. სკოლაში არ არის მოწყობილი გასახდელები. სპორტული შიდა სივრცე აღჭურვილია საჭირო სპორტული ინვენტარით. სკოლის ეზოში არის ღია სპორტული მოედანი ხელოვნური საფარით. სკოლაში მოწყობილია ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული კაბინეტი. სკოლის განმარტებით მოსწავლეებს ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის გაკვეთილების ექსპერიმენტული ნაწილი უტარდებათ ლაბორატორიაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღჭურვილია მოძველებული, დამტვერილი ინვენტარით (კოლბები; მულაჟები; რეაქტივები; პლასტმასის ცილინდრები; სხვა). ლაბორატორიული აღჭურვილობის დასაწყობება საჭიროებს უსაფრთხოების ნორმების დაცვას. ლაბორატორიაში არ არის სველი წერტილი, ამწოვი კარადა, სადემონსტრაციო მაგიდა. სკოლაში გათბობისთვის გამოიყენება შეშის ღუმელები.

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, თუმცა ბიბლიოთეკაში განთავსებული სახელმძღვანელოების ნაწილი საჭიროებს საბიბლიოთეკო წესით დამუშავებას, ასევე ლიტერატურის ნაწილი ძლიერ მოძველებულია და საჭიროებს ჩამოწერა/განახლებას.

სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი (1 სართულზე), რომელიც ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლას აქვს 30 მერხი. სკოლის ბალანსზე ირიცხება 8 კომპიუტერი, 3 მრავალფუნქციური პრინტერი, 1 პროექტორი, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია ინდივიდუალური სასკოლო დაფით. ამჟამად სკოლაში არის 11 ერთეული დაფა.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად 25/12/2024-მდე პერიოდში ინფრასტრუქტურაში განხორციელებული შიდა ცვლილებების შესაბამისად განახლებს შიდა აზომვით ნახაზს. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი, ეზო) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის (სპორტის მცირე დარბაზი, ლაბორატორიები და სხვ.). სკოლაში ფუნქციონირებს, როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე კომპიუტერული ლაბორატორიები, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. წესით განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან. სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის ბიბლიოთეკაში დაცული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებისა და სარგებლობის წესს, რომელიც რეგულირდება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის და წინამდებარე დებულების შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი თვალსაჩინოაა გამოკრული სკოლის ბიბლიოთეკაში. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. სკოლას არ ჰყავს ბიბლიოთეკარი, განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, თუმცა ბიბლიოთეკაში არ ხდება წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობა, არ არის ელექტრონული ან ბეჭდური კატალოგი.

დასკვნის პროექტის პასუხად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად 02/09/2025-მდე პერიოდში წიგნებს დაამუშავებს საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. ბიბლიოთეკაში დაიწყება წიგნების მოძრაობის აღრიცხვიანობა, შეიქმნება ელექტრონული ან ბეჭდური კატალოგი. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

შენობის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო, შესაბამისი და აუცილებელი



ინვენტარით. სსსმ მოსწავლეთათვის შესაბამისი სერვისების მიწოდების მიზნით სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას ვიზიტის დროს არ ჰყავდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე. შენობის შესასვლელში და შიდა კიბეებზე არ არის პანდუსები, რამაც შესაძლოა მომავალში, თუ კი ამის საჭიროება დაუდგება სკოლას, შეზღუდოს ეტლით მოსარგებლე პირების გადაადგილება. აღნიშნული საკითხის მოგვარება სკოლას გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის ორწლიანი გეგმით (03/20/2026-პერიოდამდე) . ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად აქვთ მოწესრიგებული ეზო, საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რომელშიც გამოყოფილია სამკითხველო სივრცე და წიგნსაცავი. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოსწავლეები მართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს, როგორც ეზოში, ასევე სკოლის სხვა სივრცეებში. ღონისძიებების ამსახველი მასალები (ფოტოები, მოსწავლეთა ნამუშევრები) განთავსებულია სკოლის დერეფანში. სკოლას აქვს არქივი, სადაც განთავსებულია მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები, შემოქმედებითი პროდუქტები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. შენობის შიდა აზომვითი ნახაზი;
3. საკადასტრო აზომვითი ნახაზი;
4. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
5. სკოლის ბალანსი;

შეფასება: 6. სკოლის შესაბამისობის გეგმა.

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში კომპიუტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბუღალტრის ოთახში, დირექტორის კაბინეტში, რომელიც მიერთებულია უწყვეტ ინტერნეტთან. აღნიშნული საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ელექტრონული ჟურნალი შეავსონ სრულფასოვნად. სკოლაში 1 პროექტორია, რომელსაც მასწავლებლები მოიხმარენ ნებისმიერ საკლასო ოთახში. სკოლას მიეცა რჩევა მეტად გაამრავალფეროვნოს ციფრული რესურსები, გაზარდოს ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, რათა სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურამ უზრუნველყოს სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია. შემუშავებულია

ლაბორატორიით სარგებლობის წესები. კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სივრცეში ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი არის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი. მოსწავლეებსა და პერსონალს საშუალება აქვთ ისარგებლონ სასკოლო რესურსებით. დარჩენე გაკვეთილების შემდეგ, მოაწყონ სამუშაო შეხვედრები, დაესწრონ ნებისმიერ ონლაინ ტრენინგს, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გაესაუბრონ მშობლებს, განახორციელონ პროექტები და ა. შ. მასწავლებლებს ან მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სახლში შესაბამისი მოწყობილობები, შეუძლიათ სკოლაში არსებული მოწყობილობებით სარგებლობა. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და ბიბლიოთეკაში გამოყოფილია საზიარო სივრცეები, რითაც გაზრდილია ხელმისაწვდომობა ციფრულ ტექნოლოგიებზე. მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, როცა კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები არ მიმდინარეობს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი;
3. საქმისწარმოების წესი;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლას აქვს ბრძანებების (საკადრო, საერთო), შემოსული და გასული წერილების სარეგისტრაციო ჟურნალები. ასევე, წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც



აკინძულია და ინახება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. 2012 წლიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას eflow-ს და Eschool-ის ბაზას. მოსწავლეთა პირადი საქმეების გაცნობისას გამოვლინდა რიგი ხარვეზები, კერძოდ: გვერდების ნაწილი არ იყო დამოწმებული სკოლის ბეჭდით, საფეხურის ქულის გამოთვლა არ შეესაბამებოდა ნიშნის გამოთვლის წესს, საგნების ჩამონათვალი საჭიროებდა დაზუსტებას. ასევე სკოლის ბარათი Eschool-ის საინფორმაციო ბაზაში არასრულად იყო შევსებული, საჭიროებდა განახლებას, რასთან დაკავშირებითაც სკოლამ მიიღო რჩევები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა მართვისთვის იყენებს სკოლის ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას e-flow, ასევე eschool. სკოლა ასევე იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას sakraula@mes.gov.ge საჭიროებისას და გადაუდებელი აუცილებლობისას სკოლის სამუშაო შეხვედრები იმართება teams-ის პლატფორმაზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა Eschool-ში. გადამოწმების შედეგად დასტურდება : შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. გააქტიურებულია სოციალურად დაუცველის ველი ყველა შესაბამისი სტატუსის მქონე მოსწავლეზე. ასევე გააქტიურებულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე სსიპ სტატუსის მქონე პირებზე შესაბამისი ველი. ყველა მოსწავლის მშობლის მონაცემი ატვირთულია სისტემაში. იმის გათვალისწინებით , რომ სკოლის ბარათი იყო არასრულად შევსებული და ამავდროულად საჭიროებდა განახლებას, სკოლას მიეცა რჩევა ბაზის მუდმივად განახლებასთან დაკავშირებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების წესი;



2. საჯარო სკოლების პორტალი www.skollebi.emis.ge ;
3. eflow-ს და Eschool-ის ბაზა;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზეშესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარ საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის სკოლა იყენებს ვებ-გვერდისა, ოფიციალურ სოციალური ქსელსა და სხვა საკომუნიკაციო არხებს. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლითაც განისაზღვრება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები, ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირების წესი. სკოლა საზოგადოების საჯარო ინფორმაციას წარადგენს სკოლის ოფიციალურ ვებ გვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
- სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ვებ-გვერდზე და ოფიციალურ სოციალურ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და

სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირის სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას. ინდიკატორი ვერ ფასდება.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი რომელზეც ინფორმაცია გავრცელებულია ქართულ ენაზე. ვებ-გვერდი არის საგანმანათლებლო დანიშნულების, კერძოდ სპეციალურად რეგისტრირებული საგანმანათლებლო დომენით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



შეფასება:

1. ლიტერატურული კონკურსის „თანამედროვე გალაკტიონი“ მასალები;
2. <https://www.facebook.com/sakraulis.sajaroskola>
3. სკოლის ვებ გვერდი

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი, ექთნის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული დაფინანსება. კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ხდება სკოლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შედის სკოლის ბიუჯეტში, მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. ბიუჯეტის დაგეგმვისას სკოლა ითვალისწინებს კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული

აქტივობების შესრულებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის განაწილების პრინციპს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრავლის საჯარო სკოლაში ფინანსური რესურსების მართვა მიზნობრივად ხორციელდება. ელექტრონულ საბანკო სისტემაზე მოქმედებს ორდონიანი დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი შეცდომა. სკოლის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აბარებს სკოლის სამეურვეო საბჭოს 10 დეკემბრამდე ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. აღნიშნული ანგარიში კონტროლდება სკოლის საბანკო ამონაწერიდან. ეს გამორიცხავს ნებისმიერ შეცდომას ან ხარვეზს ფინანსების მიზნობრივად განკარგვისას. გარდა აღნიშნულისა სკოლა ყოველი წლის ბოლოს ქმნის კომისიას, რომელიც ატარებს ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციას. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი, ფინანსურ კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2024 წლის ბიუჯეტის სავარაუდო გეგმა;
2. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
3. სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის (10 დეკემბრის ანგარიში) ;
4. ბრძანება ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ;
5. ბრძანება 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესს და პირობებს. სკოლას შემუშავებული აქვს გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულება; სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, რომელთა საქმიანობა მიემართება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მქომედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და დაწესებულებას შორის სადაც მშობლის მიერ ხელმოწერით დასტურდება შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში მოსწავლის ქცევის კოდექსი და შინაგანაწესი გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ასევე განთავსებულია სკოლის დერეფნის განცხადებების დაფაზე. კლასის დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. რომლითაც უზრუნველყოფილია ბავშვის უფლებების დაცვა და ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში ხდება სწრაფი

რეაგირება. საკლასო ოთახებში გამოკრულია კლასში ქცევის წესები, რომელიც შემუშავებულია მოსწავლეთა თანამონაწილეობით. სკოლის დირექციის განმარტებით კლასის დამრიგებლები სისტემატურად ახდენენ შეხვედრას მშობლებთან, დაინტერესებულ პირებთან, სასკოლო საზოგადოების წევრებთან რა დროსაც ხდება სასკოლო რეგულაციების გაზიარება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურადაა გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა და მშობელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და წესი, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და ზოგადი ქცევის წესი. მშობელსა და სკოლას შორის ასევე გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღწერილია მშობლის, მოსწავლის და სკოლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ხელშეკრულებები შეესაბამება კანონმდებლობას და მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
2. სკოლასა და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
3. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
4. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში გასაჩივრების პროცედურების შესახებ დებულება;
5. სკოლის ვებგვერდი;
6. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში მოსწავლის მობილობის წესი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის

გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების დამტკიცების წესის საფუძველზე. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის და მოსწავლეთა სტატუსის მინიჭების წესი დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით, სადაც განსაზღვრულია მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, და სკოლიდან გადაყვანის პირობები. 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დამლევის პირობები. სკოლის დირექტორმა # 2/49 (17.10.2023 წელი) ბრძანებით დაამტკიცა მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის და მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, მობილობის, საფეხურის დამლევის და ამორიცხვის, წესი და პროცედურები; ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა პირადი საქმეების და მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დამლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.



4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის დირექციის განმარტებით დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის ვებგვერდის და სოციალურ ქსელს. საინფორმაციო შეხვედრების და დახურული ჯგუფების მეშვეობით ყველა მოსწავლეს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვს შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია დაგეგმილი შიდა სასკოლო და ეროვნული ოლიმპიადების, ღონისძიებების, რესურსების და სერვისების შესახებ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ბრძანება მოსწავლის მობილობა (გადმოსვლა);
2. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ბრძანება საბაზო საფეხურის დაძლევა;
3. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ბრძანება მოსწავლის I კლასში ჩარიცხვა;
4. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლის ბრძანება დაწყებითი საფეხურის დაძლევა;
5. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში მოსწავლის მობილობის წესი;
6. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში საფეხურის დაძლევისა და მოსწავლის ამორიცხვის წესი;
7. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და სტატუსის აღდგენის წესი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; (შესაძლოა არშეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი. კლასის ხელმძღვანელებს სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი აქვთ სხვადასხვა აქტივობები, კლასის დამრიგებელი ახალ მოსწავლეს წარუდგენს კლასს, აცნობს სკოლის შიდა რეგულაციებს, ყოველივე ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლას აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ეფექტიანი მექანიზმი. ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მოსწავლეების სკოლის სივრცეში ადაპტაციას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს, პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე. კლასის ხელმძღვანელები საგნის მასწავლებლებთან თანამშრომლობით სისტემატიურად ახდენენ მოსწავლეთა

აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და რეგულარულად თვეში ერთხელ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით პირისპირ ან სატელეფონო კომუნიკაციით მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესახებ ინფორმაციას. სკოლას აქვს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის საკონსულტაციო სისტემა. საგნის მასწავლებლები, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ჩამორჩენის დასაძლევად ხშირად მუშაობენ მოსწავლეებთან ინდივიდუალურად. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ საგნის მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაკმარის დროს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განსახორციელებლად. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სპორტულ დარბაზს. სკოლა აქტიურად აწარმოებს სხვადასხვა აქტივობებს სასკოლო თუ საკლასო პროექტების სახით. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს ასევე დადგინდა, რომ სკოლა განსაკუთრებულ უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას სსსმ მოსწავლეებს. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. სკოლის პრაქტიკა ადასტურებს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. დირექციასთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვ.) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმართვლობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი პროექტი : „შემოდგომის ნობათი“, „ახალი წელი მოვიდა“, „ვეხმარებით მოხუცებს“ და სხვა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა დაინტერესებულია და ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს, სურვილებს, ინტერესებს, საჭიროებებს. მომსახურებების გაწევისას ატარებს როგორც ჯგუფურ ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს, რათა დაადგინოს როგორია მოსწავლეების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. სკოლა ძირითადად იყენებს ზეპირი გამოკითხვის ფორმებს მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად, რასაც ითვალისწინებს მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
2. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი ;
3. ბრძანება ექსტერნის შესახებ;
4. <https://www.facebook.com/sakraulis.sajaroskola>

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადიგანათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლაში ვიზიტისას ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციის ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; სკოლა თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელობის



სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. მიმდინარე წელს სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი პროექტის „ჩვენი ჯარი“-ს ფარგლებში გამართულ შეხვედრაში. ჯარისკაცებმა მოსწავლეებს პრეზენტაციების სახით გააცნეს თავდაცვის ძალების ისტორია, სამხედრო განათლების მიღების შესაძლებლობები, ასევე თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები, საერთაშორისო მისიებში და სწავლებაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია. სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, სიახლეებს; სკოლას პერიოდულად სტუმრობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს უტარებენ ლექციას-საუბრებს და ეხმარებიან პროფესიის არჩევაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, ეწყობა მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეების ვიზიტი პროფესიულ სასწავლებელში. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა აწვდის მოსწავლეებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაციას ეროვნული გამოცდების ცენტრის მიერ ინიცირებულ სიახლეებზე - ღია კარის დღე, საგამოცდო ფორმატში ცვლილებები, ახალი პროგრამები, პროფესიულ სასწავლებლებზე. სკოლა თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი. სკოლის მოსწავლეები აქტიურად ესწრებიან უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტებისათვის მოწყობილ ღონისძიებებს. მომდევნო სასწავლო წლიდან დაგეგმილია საბაზო საფეხურისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ვიზიტები კოლეჯი „იბერია“-ს ბაღდათის ფილიალში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლა მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით უკუკავშირებს იღებს მშობლებთან შეხვედრებისას. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში სკოლა ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, გამოცდილების გაზიარების. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაფორმებული მემორანდუმები
2. <https://www.facebook.com/sakraulis.sajaroskola>;
3. სკოლის ვებ გვერდი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინკლუზიური განათლების პროგრამა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. სკოლას აქვს შემუშავებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ისგ-ს ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს: სამოქმედო გეგმის შედგენა, რომელიც დგება სასწავლო წლის დასაწყისში; სწავლის სირთულეების იდენტიფიცირება, რომლის შესახებ ეცნობება კლასის დამრიგებელსა და დირექციას; სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის მექანიზმი; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესი; მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა; კონფიდენციალობა; შიდა მონიტორინგი.

სკოლაში დასაქმებულ სპეც.მასწავლებელთან გასაუბრებით დგინდება, რომ სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის გადამისამართებას დეტალური შეფასებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/დონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს.

ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 3 სსსმ მოსწავლე, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების საფუძველზე მათთვის შედგენილი იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. სსსმ მოსწავლეებთან გათვალისწინებული აქტივობები მიმდინარეობს რესურს ოთახში, რომელიც აღჭურვილია სასწავლო და ტექნიკური რესურსით, საჭირო ინვენტარით. ყველა მასწავლებელს, მათ შორის სპეციალურ მასწავლებელსაც შემუშავებული აქვთ მოსწავლეების შეფასებები, ამ შეფასებების მიხედვით, მოსწავლეებთან მიღწეულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნები. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია სსსმ მოსწავლეების ადაპტაცია სასკოლო გარემოში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლაში ინკლუზიურ განათლების დანერგვისას ხელმძღვანელობს ეროვნული სასწავლო გეგმით.

თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან, როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას. სპეც მასწავლებელთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა სახის სასკოლო და საკლასო ღონისძიებებში, პროექტებში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება ისგ სამოქმედო გეგმა;
2. ბრძანება ისგ ჯგუფის შექმნა;
3. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი;
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ბუნება;
5. ისგ ქართული ენა ;
6. ინტერვენციები;
7. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);



2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა არასავალდებულო ხასიათის მომსახურება.

4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ საკრაულის საჯარო სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი
დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ინდიკატორის

მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

